საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-2/4821
18/05/2023

4821-15-2-2-202305181412

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ქადაგიძეს

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

სისხლის სამართლის [redacted] საქმეზე [redacted] მიმართ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო ნინო,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 2021 წლის 7 დეკემბერს მოქალაქე [redacted] პირადი ჩხრეკის ჩატარების დროს პოლიციის თანამშრომლების მიერ მტკიცებულების მოპოვების სამართლებრივი სტანდარტის შესაძლო დარღვევის საკითხი. მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ [redacted] საქმე ასახავს პოლიციის თანამშრომლების მხრიდან დამკვიდრებულ არასწორ პრაქტიკას, რომლის შედეგადაც მოქალაქეები კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების გარეშე რჩებიან. ჩხრეკის ჩატარება ნეიტრალური მტკიცებულებების შექმნის გარეშე, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს პირის პასუხისგებაში მიცემისათვის, ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც მსგავს შემთხვევებზე სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, სახალხო დამცველმა გადაწყვიტა, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური მანდატის გათვალისწინებით, სასამართლოს წარუდგინოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.

წინამდებარე სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მომზადებულია დაცვის მხარის (განცხადება და საკასაციო საჩივარი), თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ

საქართველო, თბილისი 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი N80,
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
80 David Agmashenebeli Avenue, Tbilisi 0102, Georgia,
Hotline: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; E-mail: info@ombudsman.ge

წარმოდგენილი სათანადო მასალებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე მოსაზრება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში დაეხმარება.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართვის უფლებამოსილება

მოგეხსენებათ, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით".[1]

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, [...] ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტუტიციო სასამართლოში".[2]

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის მხოლოდ იმ სტანდარტის იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ.

ფაქტობრივი გარემოებები[3]

[redacted] ცნობილ იქნა დამნაშავედ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 17 აგვისტოს განაჩენით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული [redacted] ჩადენისთვის და საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლის ვადით.[4]

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 27 თებერვლის განაჩენით უცვლელი დარჩა პირველი ინსტანციის განაჩენი,[5] რომელიც დაცვის მხარის მიერ გასაჩივრებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.[6]

---

[1] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 35, პუნ. 2.

[2] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 21, ქვეპ. „ე".

[3] გამოყენებულია პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების განაჩენებით დადგენილი გარემოებები, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებული სისხლის სამართლის საქმის მასალები და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

[4] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 17 აგვისტოს განაჩენი, საქმე [redacted]

[5] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 27 იანვრის განაჩენი, საქმე [redacted]

[6] 2023 წლის 22 თებერვლის საკასაციო საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი მასალების თანახმად[7]:

2021 წლის 7 დეკემბერს 15:39 საათზე, ქ. თბილისში, წერეთლის გამზირზე, N 112 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, პოლიციის სამი თანამშრომლის, [redacted] მიერ დაკავებულ იქნა მოქალაქე [redacted], ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენისა და ტარების ბრალდებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, დაკავება მოხდა მშვიდ ვითარებაში, წინააღმდეგობის გაწევას ადგილი არ ჰქონია. ამასთან, დაკავების განჩინების გარეშე განხორციელების საფუძვლად მითითებული იქნა, რომ მას წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე (ა), მასზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი (გ) და იგი შეიძლება მიიმალოს (ე). ამასთან, ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, [redacted] განჩინების გარეშე დაკავების საფუძველი არ იყო მისი დანაშაულის ჩადენის ადგილზე დანახვა და მის მიმართ დაუყოვნებლივ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მისი დაკავების მიზნით (ბ),[8] რა გარემოებებსაც შემდეგ აღწერენ დაკითხვისას მისი დამკავებელი პოლიციის თანამშრომლები პირველი და სააპელაციო ინსტანციის განაჩენების თანახმად.

ამავე ოქმის თანახმად, [redacted] პირადი ჩხრეკა ჩატარდა 2021 წლის 7 დეკემბერს 15:40-15:48 საათის პერიოდში, ბუნებრივი განათების პირობებში, წინააღმდეგობის გაწევის გარეშე.

პირადი ჩხრეკის შედეგად, [redacted] ამოღებულ იქნა პისტოლეტი მჭიდით და შიგ მოთავსებული ექვსი ვაზნით. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს ტექნიკური საშუალების გამოყენების შესახებ ოქმში არ არის მითითებული. ამასთან, სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებებში საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილე სამი პოლიციელი აცხადებს, რომ [redacted] პირადი ჩხრეკისას, ტექნიკური საშუალებები გამოყენებული არ ყოფილა და საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გადაღება, უსაფრთხოებიდან გამომდინარე არ მომხდარა.

---

[7] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 23 მარტის საქმე [redacted] წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიეწოდა გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათის (ფორმა N1), პატაკის გადაგზავნის მიმართვის (თბილისის სააპელაციო სასამართლოს წერილში მითითებულია პატაკი, თუმცა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს პატაკის ასლი არ მიწოდებია), ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის, ნიმუშის აღების ოქმის, მოწმეების მიერ სასამართლოსთვის მიცემული ჩვენებებისა (ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, ასევე ითხოვდა პოლიციის თანამშრომელთა გამოკითხვის ოქმების ასლებს, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა მოწოდებული) და სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხის ასლები.

[8] იხ. ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი.

ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი შედგენილ იქნა 2021 წლის 7 დეკემბერს 15:49-16:04 საათზე, დაკავების ადგილზე.

პირველი და სააპელაციო ინსტანციების განაჩენების თანახმად, სასამართლო სხდომაზე დაიკითხნენ პოლიციის ის თანამშრომლები, რომლებმაც ჩაატარეს [redacted] პირადი ჩხრეკა და ასევე, საქმისმწარმოებელი გამომძიებელი.

დაკავების შემდეგ [redacted] გადაყვანილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც, დაცვის მხარის მტკიცებით, დაკავებულს, სამედიცინო ხალათითა და პირბადით აღჭურვილმა პირმა, აუღო ნერწყვის ნიმუში. როგორც განუმარტეს, კოვიდ 19-ზე შემოწმების მიზნით. თუმცა, დაცვის მხარე გამოთქვამს ეჭვს, რომ ნიმუშის აღებს მიზანი იყო [redacted] ბიოლოგიური ნიმუშის მოპოვება, შემდგომში კანონსაწინააღმდეგო ნივთთან მისი შემხებლობის დამადასტურებელი მტკიცებულების შექმნის მიზნით.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „გამამტყუნებელი განაჩენი [უნდა ემყარებოდეს] უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ".[9]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას".[10] დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.[11]

საპროცესო კოდექსი დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნევს იმ მტკიცებულებას, რომელიც არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე იქნა მოპოვებული, თუნდაც კანონით დადგენილი წესით, მაგრამ აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას („მოწამლული ხის ნაყოფის" დოქტრინა[12]).[13] შესაბამისად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ის მტკიცებულებები, რომელთა მოპოვების დროს არსებითად იქნა დარღვეული მოქმედი კანონმდებლობის ნორმები, არ არის უარყოფილი

---

[9] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 31, პუნქტ. 7.
[10] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 13, ნაწ. 2.
[11] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 72. ნაწ. 6.
[12] "Fruit of the poisonous tree doctrine" -აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მიერ 1939 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში გამოყენებული ტერმინი საქმეზე Nardone v. U.S, რაც გულისხმობს, რომ თუ თავდაპირველი მტკიცებულების (ხე) მოპოვებისას გამოძიება არსებითად დაარღვევს კანონს, ასეთი მტკიცებულების საფუძველზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებები (ნაყოფი), თუნდაც ადგილი არ ჰქონდეს მათი მოპოვებისას კანონის დარღვევას, სასამართლომ არ უნდა მიიღოს, ვინაიდან თავად ხეა მოწამლული - პირველადი მტკიცებულება მოპოვებულია კანონის დარღვევით და ასეთი მტკიცებულება არ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა მტკიცებულებების მოსაპოვებლად.
[13] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 72, ნაწ. 1.

ეჭვი მათი გამოცვლის, ნიშან-თვისებების შეცვლის ან მათზე არსებული კვალის შესახებ და, ასევე, ასეთი მტკიცებულების საფუძველზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმის[14] ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას, იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ჩვენებებით და ამავე დროს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.[15]

საკონსტიტუციო სასამართლომ ცალსახად საეჭვო მტკიცებულებათა კატეგორიას არ მიაკუთვნა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა ჩვენებები,[16] თუმცა განმარტა, რომ აღნიშნული არ გულისხმობს, „რომ პოლიციელთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია ადეკვატური შემოწმების გარეშე იმთავითვე სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს".[17]

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სრულიად არ არის გამორიცხული პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან არაკეთილსინდისიერი მოქმედება და ჰიპოთეტურად, შესაძლებელია, მართლაც ჰქონდეს ადგილი კანონსაწინააღმდეგო ნივთის „ჩადებას". ამასთან, ასეთ შემთხვევაში ჩხრეკის ჩატარების ადგილზე მყოფი ყველა პოლიციელი გამოძიებას მისცემს ერთნაირ ჩვენებას და თუ არ იქნება სხვა მტკიცებულება, რაც დაადასტურებს ან უარყოფს, რომ ნივთს ფლობდა თუ არა ბრალდებული, ბრალდებულს არ რჩება ბერკეტი წარადგინოს თავისი სიმართლის დამამტკიცებელი მტკიცებულებები და ზეგავლენა მოხდინოს საქმის შედეგზე.[18]

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სწორედ „ბრალდების მხარის ვალდებულებაა, გამოიყენოს კანონიერი საშუალებები იმისთვის, რომ გაამყაროს ჩხრეკა/ამოღების ფაქტისადმი სანდოობა. ... მნიშვნელოვანია, განისაზღვროს სამართალდამცავთა ცალსახა ვალდებულება, მოიპოვონ ჩხრეკის სანდოობის უზრუნველმყოფი მტკიცებულებები, როდესაც ამის შესაძლებლობა არსებობს."[19]

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „როდესაც აშკარაა, რომ პოლიციელს შეეძლო მოეპოვებინა ჩხრეკის სანდოობის გამამყარებელი მტკიცებულება და მან ეს არ გააკეთა, მისი ქმედებებისადმი ნდობის ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს".[20] ასეთ შესაძლებლობად, საკონსტიტუციო სასამართლომ პირდაპირ მიუთითა ჩხრეკის პროცესის

---

[14] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება.
[15] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, III, §1ა.
[16] იქვე, §101.
[17] იქვე, §102.
[18] იქვე, §104.
[19] იქვე, §105.
[20] იქვე, §106.

ვიდეოგადაღების შესაძლებლობაზე ბრალდების პოზიციის გასამყარებლად, თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, თუნდაც მობილური ტელეფონის მეშვეობით.[21]

შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება <u>მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა ჩვენებებით</u> და ამავე დროს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს <u>შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად</u>.

გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილების თანახმად, *თუ ჩხრეკა ან ამოღება ანონიმური შეტყობინების ან „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საიდუმლო თანამშრომლისგან (კონფიდენტისგან)/ინფორმაციის მიმწოდებელი წყაროსგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ამ კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ან მე-5 ნაწილით დადგენილი წესით ჩატარდა და ამოღებულ იქნა უკანონო საგანი, ნივთი ან ნივთიერება, აღნიშნული გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად შეიძლება დაედოს იმ შემთხვევაში, თუ უკანონო საგნის, ნივთის ან ნივთიერების **პირის მფლობელობაში ყოფნა,** აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი გამომძიებლის ჩვენების, საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე გამომძიებლის ჩვენების, საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე, ოპერატიულ-სამძებრო ფუნქციის მქონე პირის ჩვენებისა და შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ოქმის გარდა, **სხვა მტკიცებულებითაც დასტურდება.** ეს წესი არ გამოიყენება, როდესაც სხვა მტკიცებულების მოპოვება/წარდგენა ობიექტურად შეუძლებელია*[22].

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ნეიტრალური მტკიცებულების შექმნის ვალდებულებას სახელმწიფოს ცალსახად აკისრებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი. ევროპული სასამართლო საკმარისად არ მიიჩნევს მხოლოდ ორი პოლიციელის განმარტებას და სახელმწიფოს ავალდებულებს სადავო ინფორმაციის გადამოწმებას გარკვეული დასკვნების გასაკეთებლად.[23] დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, სასამართლო არასარწმუნოდ მიიჩნევს გამოძიებას, რომლის დასკვნები მხოლოდ მოწმე პოლიციელთა ჩვენებებს ეყრდნობა და განმარტავს, რომ სასამართლოსთვის გაუგებარია, თუ რატომ არ მოხდა სხვა თვითმხილველი პირების დაკითხვა, რათა ამ გზით გამყარებულიყო მოწმე

---

[21] იქვე, §107, 108.

[22] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 13, ნაწ. 3.

[23] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე ვირაბიანი (Virabyan) სომხეთის წინააღმდეგ, 40094/05, § N224, 2012.

პოლიციელთა ჩვენება.[24] სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფომ უნდა მოიძიოს ნეიტრალური მტკიცებულებები, რადგან პოლიციის ოფიცერთა ჩვენებები შეიძლება თავდაცვითი ხასიათის იყოს[25] ან ეყრდნობოდეს სუბიექტურ გარემოებებს.[26]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს მიმართ განხილულ პრეცედენტულ საქმეში განმარტა, რომ *შიდა სასამართლოების მხრიდან გასარკვევი დარჩა, იყო თუ არა ჩხრეკის შედეგად მოპოვებული ფიზიკური მტკიცებულებები დადასტურებული სხვა წყაროებიდან მიღებული მტკიცებულებებით. სასამართლოს შეფასებით, საქმის მასალებში არც ერთი სხვა მტკიცებულება, ჩხრეკის ოქმის არარსებობის შემთხვევაში, არ იყო საკმარისად ძლიერი. კერძოდ, პოლიციის წარმომადგენლების მიერ მიცემული ჩვენებები საფუძვლად დაედო განმცხადებლის წინააღმდეგ წარმოებულ საქმეს, ამასთან, შეიქმნა იმ ორგანოს მიერ, რომელმაც დაიწყო სამართალწარმოება და დაინტერესებული იყო დევნის შედეგით. მიუხედავად ამისა, შიდა სასამართლოების მიერ პოლიციის წარმომადგენლების ჩვენება ავტომატურად იქნა აღქმული, როგორც ობიექტური და სანდო, ყოველგვარი მნიშვნელოვანი მცდელობის გარეშე, აღმოეფხვრათ წინააღმდეგობები. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა სამართლიანი სასამართლო.*[27]

ნეიტრალურ მტკიცებულებებთან დაკავშირებით მართებული სასამართლო პრაქტიკა ასევე გვხვდება საერთო სასამართლოების მიერ განხილულ სისხლის სამართლის ზოგიერთ საქმეში. ერთ-ერთ საქმეში მოსამართლემ იმსჯელა ჩხრეკის სტანდარტზე, სადაც პრობლემურად არის მიჩნეული ჩხრეკის ჩატარების დროს გარეშე პირის არდასწრება მაშინ, როდესაც ამის საშუალება არსებობს და ასევე, ყურადღება გამახვილებულია ჩხრეკის ჩატარების დროს თუნდაც პოლიციის თანამშრომელთა პირადი მობილური ტელეფონით ვიდეოგადაღების საჭიროებაზე.[28]

საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს უკანონო განაჩენი - თუ სისხლის სამართლის საქმისწარმოებისას არსებითად დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.[29] საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას ან/და საქმის განხილვა მოხდა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი

---

[24] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე ოჩელკოვი (Ochelkov) რუსეთის წინააღმდეგ, 17828/05, § N123, 2013.

[25] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე ბარაბანშიკოვი (Barabanshchikov) რუსეთის წინააღმდეგ, § N61, 36220/02, 2009.

[26] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე მიქიაშვილი (Mikiashvili) საქართველოს წინააღმდეგ, 18996/06, § N82, 2012.

[27] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე კალანდია (Kalandia) საქართველოს წინააღმდეგ, 57255/10, § N43, 44, 2021.

[28] Inter alia, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის [redacted] განაჩენი.

[29] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 300, ნაწ. 1, ქვეპუნქტ. „ა“.

დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანაზე.[30]

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საკასაციო საჩივრის განხილვისას ყურადღება იქნა გამახვილებული იმ გარემოებაზე, რომ კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასა და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე, სხვა, კანონიერად მოპოვებულ მტკიცებულებას, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, იურიდიული ძალა არ აქვს და აღნიშნულის საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა დაცვის მხარის შუამდგომლობა.[31]

გარდა ამისა, საერთო სასამართლოების პრაქტიკაშიც სხვადასხვაგვარად წყდება ნეიტრალური მტკიცებულებების საკითხი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება საქმე, სადაც მსჯავრდებული პირები გამართლდნენ პალატის მიერ, ვინაიდან ბრალდების მხარემ, ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად, გამოძიების ეტაპზე, არ ჩაატარა შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, მათ შორის, არ მოიპოვა საგამოძიებო მოქმედების - ჩხრეკის ჩატარების ადგილზე არსებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები, არ გამოკითხა ნეიტრალური პირები და ბრალდების დასასაბუთებლად შემოიფარგლა მხლოდ საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პოლიციის თანამშრომლების გამოკითხვით/დაკითხვით.[32]

ამრიგად, ვინაიდან სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანია, წინამდებარე საქმის განხილვა და ამ სამართლებრივი პრობლემის შეფასება/გადაწყვეტა საკასაციო ინსტანციის მიერ ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას.

წინამდებარე საქმის ანალიზი

როგორც [redacted] ბრალდების სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა, 2021 წლის 7 დეკემბერს, დღის საათებში, ქ. თბილისში, წერეთლის გამზირზე, N112-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, [redacted] პირადი ჩხრეკა, დანაშაულზე წასწრების საფუძვლით, გადაუდებელი აუცილებლობით, ჩაატარა პოლიციის სამმა თანამშრომელმა. მიუხედავად იმისა, რომ მოწმის სახით დაკითხვისას სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებებში პოლიციის თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ საგამოძიებო მოქმედების - [redacted] პირადი ჩხრეკის ვიდეოგადაღება ვერ მოახდინეს უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ვინაიდან თითქოს [redacted] უკან გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და თითქოს სცადა გაქცევა, ამავე ჩვენებებში, ასევე აღწერენ საწინააღმდეგო გარემოებას, რომ ჩხრეკა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. პირადი ჩხრეკისა და დაკავების მშვიდ

---

[30] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 303, ნაწ. 3, ქვეპუნქტ. „ა", „ე".

[31] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 9 თებერვლის განაჩენი, საქმე [redacted] სამოტივაციო ნაწილი, §7.

[32] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმ[redacted]პალატის 2022 წლის 27 ივლისის განაჩენი, საქმე [redacted]

ვითარებაში, წინააღმდეგობის გაწევის გარეშე მიმდინარეობის ფაქტზე მითითებულია ასევე, ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმშიც.

მართალია, [redacted] მიერ რამდენიმე ნაბიჯის უკან გადადგმა, რაც პოლიციის თანამშრომლებმა გაქცევის მცდელობად მიიჩნიეს, შესაძლოა, ჩაითვალოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვიდეოგადაღების შესაძლებლობის დამაბრკოლებელ ობიექტურ გარემოებად, თუმცა, მას შემდეგ, რაც პოლიციელების მიერ მოხდა მისი შეჩერება და საგამოძიებო მოქმედების - პირადი ჩხრეკის დაწყება, რაც, მათივე ჩვენებებითა და დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა, წინააღმდეგობის გაწევის გარეშე, პოლიციის სამ თანამშრომელს ჰქონდა ობიექტური შესაძლებლობა, მოეხდინა საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობის ვიდეოგადაღება, თუნდაც თანნაქონი მობილური ტელეფონით, ვინაიდან უსაფრთხოებისა და საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის რაიმე ხელშემშლელი გარემოება უკვე აღმოფხვრილი იყო.

გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც დასრულებული იყო საგამოძიებო მოქმედება - [redacted] პირადი ჩხრეკა და გამოძიება მიმდინარეობდა 2022 წლის 24 იანვრამდე (როდესაც მხარეების მიერ გადაცემულ იქნა ერთმანეთისთვის სასამართლოში წარსადგენი შესაძლო მტკიცებულებები), გამოძიებას არ უცდია მოეპოვებინა ნეიტრალური მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა პირადი ჩხრეკისა და დაკავების გარემოებების შესახებ პოლიციელების ჩვენებებში აღწერილ ვითარებას. კერძოდ, გამოძიებას არ ჩაუტარებია ჩხრეკის ჩატარების ადგილმდებარეობის დათვალიერება და შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ობიექტებზე ვიდეოკამერების ჩანაწერების არსებობის შესაძლებლობის დასადგენად და მოსაპოვებლად;[33] არ დაუდგენია, თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ გამზირზე, სადაც დღის განმავლობაში გადაადგილდებიან მოქალაქეები, შეესწრო თუ არა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნეიტრალური პირები და არ გამოუკითხავს ისინი ჩხრეკის ჩატარების გარემოებებთან დაკავშირებით.

შესაბამისად, გამოძიების მიმდინარეობისას ბრალდების მხარეს არ უცდია, მოეპოვებინა [redacted] პირადი ჩხრეკის ამსახველი ნეიტრალური მტკიცებულება, რაც ობიექტურ დამკვირვებელს, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, დაარწმუნებდა ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენაში და საკმარისად მიიჩნია მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პოლიციელების ჩვენებები.

---

[33] ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2022 წლის 4 მარტის NMIA 3 22 00565170 წერილით ეცნობა, რომ [redacted] დაკავების ადგილზე არ არის განთავსებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერები. თუმცა, გაურკვეველია, რას ეფუძნება აღნიშნული ინფორმაცია, მაშინ, როდესაც, საქმის მასალების თანახმად, დაკავების ადგილმდებარეობის დათვალიერება გამოძიების მიერ არ ჩატარებულა. ამავე წერილის თანახმად, [redacted] ბრალდების სისხლის სამართლის [redacted] საქმეზე გამოძიება კვლავ მიმდინარეობდა, მაშინ, როდესაც საქმე არსებითად განხილვის მიზნით უკვე გადაგზავნილი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოში.

საქმის მასალების მიხედვით, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოები, პოლიციელთა ჩვენებების, ჩხრეკის ოქმისა და ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის გარდა, ეყრდნობა მოგვიანებით ჩატარებული ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებს. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნები, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს ჩხრეკის კანონიერების გამამყარებელ ნეიტრალურ მტკიცებულებას. საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობს ***ამოღების პროცესში, ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნის დამადასტურებელი მტკიცებულების აუცილებლობის*** შესახებ.[34] ამავე მიზანს ემსახურება საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთი გამამტყუნებელ განაჩენს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაეყრდნოს, თუ **<u>აღნიშნული ნივთის პირის მფლობელობაში ყოფნა</u>** დასტურდება გამომძიებლის ჩვენების, საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პოლიციელისა და საგამოძიებო მოქმედების ოქმის გარდა, სხვა მტკიცებულებითაც.[35]

ბიოლოგიური ექსპერტიზების დასკვნა აღნიშნულ საკითხს არ მიემართება - არ გამორიცხავს ეჭვს „ჩადების" შესახებ. შესაბამისად, ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა არ იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, იმყოფებოდა თუ არა უშუალოდ პირადი ჩხრეკის ჩატარების დროს აღნიშნული ნივთი პირის მფლობელობაში და სწორედ პირადი ჩხრეკის შედეგად იქნა ამოღებული მისგან, თუ პირადი ჩხრეკის ჩატარების შემდეგ მოხდა პირის უკვე ამოღებული კანონსაწინააღმდეგო ნივთთან შემხებლობა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ დაცვის მხარე აღნიშნავდა, რომ დაკავების შემდეგ პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში ყოფნის დროს, ბრალდებულს კორონავირუსზე შემოწმების საფუძვლით, სამედიცინო ნიღაბსა და ხალათში შემოსილმა, დაუდგენელმა პირმა პირის ღრუდან აუღო ბიოლოგიური მასალის ნიმუში და, რაც, დაცვის მხარის მტკიცებით, მიზნად ისახავდა [redacted] ბიოლოგიური ნიმუშის მოპოვებას.

შესაბამისად, აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნები შეუძლებელია შეფასდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის შესრულებად ნეიტრალური მტკიცებულების ასპექტში. შესაბამისად, სასამართლოს მიერ მისი მიჩნევა ნეიტრალურ მტკიცებულებად, რაც ადასტურებს კანონსაწინააღმდეგო ნივთის პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებას და სარწმუნო იქნება ობიექტური დამკვირვებლისთვის, წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციურ პრინციპთან.[36]

ამრიგად, როგორც წარმოდგენილი მასალებიდან იკვეთება, ბრალდების მხარის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებსა და მათზე არსებულ ბიოლოგიურ კვალთან მიმართებით უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მათი გამოცვლის ან მათზე არსებული კვალის

---

[34]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2020 წლის 25 დეკემბერი, პარაგრაფი 104.
[35] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 13, ნაწ. 3.
[36] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 13, ნაწ. 2.

შესახებ, რადგან პირადი ჩხრეკის ჩატარებისას, ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, ობიექტური შესაძლებლობის მიუხედავად, პოლიციელებმა არ უზრუნველყვეს ნეიტრალური მტკიცებულების, მათ შორის, ვიდეოჩანაწერის მოპოვება. გარდა ამისა, გამოძიებას არც საგამოძიებო მოქმედების - [redacted] პირადი ჩხრეკის ჩატარების დასრულების შემდეგ უცდია დაკავების ადგილზე არსებული ობიექტებიდან მოეპოვებინა ვიდეოჩანაწერები ან/და დაედგინა დაკავების ფაქტის შემსწრე ნეიტრალური პირები და გამოეკითხა ისინი.

დასკვნა

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ წინამდებარე საქმის განხილვასა და მოცემული საკითხის გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა გააჩნია პოლიციის მხრიდან ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების ვალდებულების დამკვიდრებაში, რასთან დაკავშირებითაც უკვე იმსჯელა საკონსტიტუციო სასამართლომ. სისხლის სამართლის საქმის სამართალწარმოების პროცესში ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვება უზრუნველყოფს საკმარისი მტკიცებულების წარდგენას და მნიშვნელოვნად შეამცირებს თვითნებობის რისკებს. ჩხრეკის მიმდინარეობის კანონიერების ნეიტრალური მტკიცებულებით დადასტურების გარეშე, მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებზე დაყრდნობით პირთა დამნაშავედ ცნობა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ამ ვალდებულებების დარღვევას სათანადო მნიშვნელობას არ მიანიჭებს, აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლება ამ ჭრილში ყოველგვარი კონტროლის გარეშე შეიძლება დარჩეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებთ, მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ [redacted] ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის განხილვის ფარგლებში, იმსჯელოს ნეიტრალური მტკიცებულებების ყველა შესაძლო შემთხვევაში მოპოვების მნიშვნელობაზე პირის დამნაშავედ ცნობისთვის, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეში ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების საკითხი წარმოადგენს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ ზემოაღნიშნულ გარემოებებზე ჯეროვანი მსჯელობა და დასაბუთებული პოზიციის წარმოდგენა უშუალო გავლენას მოახდენს როგორც ინდივიდის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფაზე, ასევე, სასამართლოს შემდგომი ერთიანი პრაქტიკის განვითარებაზე.

ვიმედოვნებ, წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილი სამართლებრივი არგუმენტაცია სასამართლოს განსახილველი საკითხების სათანადო შეფასებაში დაეხმარება.

დამატებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გამოვთქვამთ მზადყოფნას [redacted] ბრალდების სისხლის სამართლის [redacted] საქმეზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 27 იანვრის განაჩენზე საკასაციო საჩივრის განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი